ირაკლი ფაღავას N6
0144 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:1481(24/7)
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

26 ნოე 2025 წ.

KA000031362188625

№ 25/9571

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს
ბატონ გელა გელაძეს

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მსჯავრდებულ ჯ[redacted] მ[redacted] გამოძიების ეტაპზე ამოღებული ნივთიერი მტკიცებულებების დაბრუნების თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.[1]

ბატონო გელა,

2025 წლის 23 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს განცხადებებით მიმართა მსჯავრდებულ ჯ[redacted] მ[redacted] (პ/ნ [redacted] მობ [redacted]) ინტერესების დამცველმა ადვოკატმა, ხ[redacted] ხ[redacted] (სიითი: [redacted] მობ: [redacted]).[2] განმცხადებლის განმარტებით, არსებობს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 28 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, რომლის თანახმადაც, მის კლიენტს, ჯ[redacted] მ[redacted], უნდა დაბრუნებოდა სისხლის სამართლის N[redacted] საქმეზე, გამოძიების ეტაპზე ამოღებული **ჭირადი ნივთები და ფულადი თანხა.** როგორც ადვოკატი მიუთითებს, მან არაერთხელ მიმართა შესაბამის საგამოძიებო ორგანოს რეაგირების მიზნით, თუმცა, პასუხი დღემდე არ მიუღია. მოცემული საქმის შესწავლის შედეგად, სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოიკვეთა ჯ[redacted] მ[redacted] საკუთრების უფლების უსაფუძვლო და არამართლზომიერი შეზღუდვა.

ფაქტობრივი გარემოებები

როგორც ადვოკატ ხ[redacted] ხ[redacted] მიერ სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, 2023 წლის 25 სექტემბერს ქ. თბილისში, დაბა კოჯორში, [redacted] ჩატარდა ჯ[redacted] მ[redacted] საცხოვრებელი სახლის ჩხრეკა, რის შედეგადაც, სხვა ჭირად ნივთებთან ერთად, ამოღებულ იქნა ჯ[redacted] მ[redacted] კუთვნილი ფულადი თანხა - 3424 აშშ დოლარის, 330 ევროსა და 30 ლარის ოდენობით.[3]

პროკურატურამ ჯ[redacted] მ[redacted] კანონმდებლობით დადგენილი წესით, გააფორმა საპროცესო შეთანხმება და 2024 ხლის 28 ოქტომბრის განაჩენით, ის ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 273[1] მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში. აღნიშნული განაჩენითვე, მოსამართლემ გადაწყვიტა ჯ[redacted] მ[redacted] ამოღებული ნივთებისა და ფულადი თანხის საკითხი, კერძოდ, ამოღებული ნივთები და თანხა უნდა დაბრუნებოდა მესაკუთრეს.[4]

ადვოკატმა, ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთების ჯ[redacted] მ[redacted] დაბრუნების მოთხოვნით, არაერთხელ მიმართა როგორც პროკურატურას, ასევე, უშუალოდ საქმის გამომძიებელს.[5] როგორც განმცხადებელი განმარტავს, საქმის გამომძიებელი [redacted] დაპირდა პირადი ნივთების დაბრუნებას განაჩენის მიღებიდან მეორე დღესვე, თუმცა არ დაუბრუნა.[6] ამის შემდეგ, განმცხადებელმა არაერთხელ სცადა გამომძიებელ [redacted] დაკავშირება, რომ დაებრუნებინათ ნივთები, მაგრამ, გამომძიებელი ბარებს აღარ პასუხობდა.[7]

სახალხო დამცველის აპარატმა, წერილობით[8] მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რათა გაერკვია, როდის დაუბრუნდებოდა ჯ[redacted] მ[redacted] კუთვნილი პირადი ნივთები და ფულადი თანხა. უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნულ გარემოებებზე მიმდინარეობდა მოკვლევა.[9]

ინფორმაცის ხელახალი გამოთხოვის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა განმეორებით მიმართა[10] შინაგან საქმეთა სამინისტროს იგივე მოთხოვნით, თუმცა, უწყებისგან პასუხი აღარ მიუღია.

გარდა ამისა, მსჯავრდებულ ჯ[redacted] მ[redacted] მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ხსენებული ნივთები და ფულადი თანხა, დღეის მდგომარეობით, კვლავ არ დაბრუნებია.[11]

სამართლებრივი დასაბუთება და საქმის ანალიზი

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი აღიარებს საკუთრების უფლებას[12] და ერთი მხრივ, ადგენს კერძო საკუთრების ინსტიტუტის კონსტიტუციურ-სამართლებრივ გარანტიას, ხოლო მეორე მხრივ, განამტკიცებს ძირითად უფლებას. კონსტიტუციის მიხედვით, საკუთრების უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, როცა არსებობს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება, სასამართლო გადაწყვეტილება ან ორგანული კანონით დადგენილი შემთხვევები, წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურებით.[13]

საკუთრების უფლების შეზღუდვა საჯარო ინტერესისთვის დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებსა და დადგენილი წესით.[14] საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტით დაცულ საკუთრების უფლებაში ჩარევად განიხილება სახელმწიფოს ქმედება, რომელიც ზღუდავს პირის თავისუფლებას ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს საკუთარ ქონებას, რაც საჭიროებს სათანადო გამართლებას.[15] საკუთრების უფლებაში ნებისმიერი ჩარევა უნდა იყოს პროპორციული და აუცილებელი საშუალება ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, რათა თავიდან იქნას აცილებული უფლებით დაცულ სფეროში გაუმართლებელი ჩარევა.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საკუთრების შინაარსი მხოლოდ მაშინაა გარანტირებული, როცა მესაკუთრეს შეუძლია საკუთრებაში მოაზრებული უფლებამოსილებების სრულყოფილად განხორციელება საკუთრების ობიექტის ფუნქციით დეტერმინირებული ნების მიხედვით. აქედან გამომდინარე, კანონმდებელი ვალდებულია მესაკუთრეს მისცეს თავისი საკუთრების დანიშნულებისამებრ გამოყენების შესაძლებლობა, რაც პირველ რიგში გულისხმობს საკუთრების ობიექტებთან თავად მესაკუთრის პირად ურთიერთობას.[16]

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმი N1-ის მიხედვით, ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრების შეუფერხებლად სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგად პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.[17]

აღნიშნულთან მიმართებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ ამოღებული ქონების შენარჩუნება გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეიძლება გამართლდეს გამოძიების ან სასამართლო პროცესების საჭიროებებით. თუმცა, როდესაც ეს საფუძველი აღარ არსებობს - მაგალითად საქმე დასრულებულია ან განმცხადებელი გამართლებულია - სახელმწიფოს ვალდებულებაა, უზრუნველყოს ქონების დაუყოვნებლივ დაბრუნება. ნებისმიერი დაგვიანება ან შეფერხება ასეთ დროს შეიძლება ჩაითვალოს

საკუთრების უფლების განხორციელებაში არაპროპორციულ ჩარევად, რაც არღვევს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი N1 ოქმის პირველი მუხლის - საკუთრების დაცვის უფლების მოთხოვნებს.[18]

მნიშვნელოვანია, რომ უფლებაში ჩარევა შეესაბამებოდეს კანონის უზენაესობის პრინციპს. ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი ზომა, რომელიც ზღუდავს პირის საკუთრებას, უნდა ჰქონდეს საფუძველი შიდა კანონმდებლობაში, რომელიც თავის მხრივ უნდა იყოს ხელმისაწვდომი, ზუსტი და პროგნოზირებადი.[19]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მოიცავს მთელ რიგ გარანტიებს, რაც უზრუნველყოფს პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვას სახელმწიფოს მხრიდან გაუმართლებელი ჩარევისგან. საპროცესო კოდექსის მიხედვით, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციითა და ამ კოდექსით გათვალისწინებული სპეციალური ნორმების საფუძველზე.[20]

მოქმედი კანონმდებლობა იძლევა მითითებებს, თუ როგორ შეიძლება გადაწყდეს გამოძიების ეტაპზე შეკრებილი ნივთიერი მტკიცებულებების საკითხი, კერძოდ, გამოძიების ეტაპზე შეკრებილი მტკიცებულებები განადგურებას ან საპროცესო კონფისკაციას დაექვემდებარებიან იმ შემთხვევაში, როდესაც ეს მტკიცებულებები თავისი არსით წარმოადგენენ დანაშაულის იარაღს ან საგანს.[21]

მოცემულ შემთხვევაში, საგამოძიებო ორგანომ ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლისა და ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში, გაუმართლებლად ხელყო ჯ[redacted] მ[redacted] საკუთრების უფლება. კანონისმიერად არ არსებობს დანაწესი, რომელიც გამართლებულს გახდიდა მისთვის ამ უფლების შეზღუდვას, იმ ფონზე, რომ არსებობდა კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, რომლითაც ჯ[redacted] მ[redacted] უნდა დაბრუნებოდა კუთვნილი ნივთები.

ხსენებულ საქმეში, არსებული მასალებით დასტურდება, რომ ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთები არ წარმოადგენდა დანაშაულის საგანს და, შესაბამისად, არ ექვემდებარებოდა არც საპროცესო კონფისკაციას და არც განადგურებას. აღნიშნული გარემოება დაადასტურა სასამართლომ განაჩენითაც, რომლის საფუძველზეც, მოსამართლემ ამოღებული ნივთები მიაკუთვნა მათ კანონიერ მფლობელს - ჯ[redacted] მ[redacted].

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიექცევა სასამართლოს მიერ მისი საჯაროდ გამოცხადებისთანავე.[22] ხოლო განაჩენის ასლები, მათ შორის ბრალმდებელსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცემათ, განაჩენის გამოცხადებიდან არაუგვიანეს 5 დღისა, ხოლო რთულ, მრავალტომიან ან მრავალი პირის ბრალდების საქმეზე - არაუგვიანეს 14 დღისა.[23]

მოცემულ შემთხვევაში როგორც ჯ[redacted] მ[redacted] ადვოკატი განმარტავს, გამომძიებელს განაჩენი უკვე მიღებული ჰქონდა 2024 წლის 8 ნოემბრიდან,[24] შესაბამისად, საგამოძიებო ორგანოს უნდა უზრუნველეყო ჯ[redacted] მ[redacted] გამოძიების ეტაპზე ამოღებული ნივთების დაბრუნება, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.

მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი განცხადების თანახმად, ჯ[redacted] მ[redacted] ადვოკატი განაჩენის გამოცხადებიდან რამდენიმე თვის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდა როგორც გამომძიებელთან, ასევე პროკურორთან დაკავშირებას ნივთების დაბრუნების საკითხზე. აღნიშნული მიუთითებს სახელმწიფო ორგანოების მხრიდან პროცესის გაჭიანურებასა და სამართლებრივი ვალდებულებების შესაძლო შეუსრულებლობაზე.

საგულისხმოა, რომ 2025 წლის 1 ივლისს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა აღნიშნული საკითხის შესწავლის მიზნით, რაზეც აპარატს უწყებისგან მხოლოდ 8 ივლისის წერილით ეცნობა, რომ მიმართვაში მითითებულ საკითხებზე ჯერ კიდევ მიმდინარეობდა ინფორმაციის მოკვლევა. ხოლო საბოლოო შედეგების შესახებ ინფორმაცია, განმეორებითი მიმართვის მიუხედავად, აპარატს აღარ მიუღია.

ამრიგად, 2024 წლის 8 ნოემბრიდან[25] დღემდე დროის პერიოდი, მისი ხანგრძლივობის გათვალისწინებით, სცილდება ყველა გონივრულ ვადას, ხოლო მოცემული დროის მანძილზე საგამოძიებო უწყების უმოქმედობა წარმოადგენს პირის საკუთრების უფლებაში გაუმართლებელ და არამართლზომიერ ჩარევას, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცულ გარანტიებს.

დასკვნა:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოგმართავთ რეკომენდაციით, უზრუნველყოთ 2024 წლის 28 ოქტომბრის განაჩენით გათვალისწინებული პირადი ნივთებისა და ფულადი თანხის დაბრუნება მესაკუთრე - ჯ[redacted] მ[redacted] (მინდობილი პირისთვის).

ამასთან გთხოვთ, წინამდებარე რეკომენდაციის განხილვის შედეგები გვაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

---

[1] რეკომენდაცია მომზადებულია ჯ[redacted] მ[redacted] ინტერესების დამცველი ადვოკატის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და თანდართული მასალების საფუძველზე.

[2] ადვოკატ ხ[redacted] ხ[redacted] 2025 წლის 23 ივნისის N5699/25 და 14 ივლისის N6379/25 განცხადებები.

[3] საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის ოქმი, 25.09.2023.

[4] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 28 ოქტომბრის N[redacted] განაჩენი (სისხლის სამართლის N[redacted] საქმე).

[5] ადვოკატ ხ[redacted] 2024 წლის 5 დეკემბრისა და 2025 წლის 17 იანვრის განცხადებები.

[6] ადვოკატ ხ[redacted] 2025 წლის 23 ივნისის განცხადება, რომლითაც მიმართა სახალხო დამცველს.

[7] იქვე.

[8] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2025 წლის 1 ივლისის N25/5227 წერილი.

[9] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 20215 წლის 8 ივლისის MIA 7 25 02116357 წერილი.

[10] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2025 წლის 31 ივლისისა (N25/6028) და 17 სექტემბრის (N25/7462) წერილები.

[11] მსჯავრდებულ ჯ[redacted] მ[redacted] 2025 წლის 21 ნოემბრის სატელეფონო გასაუბრების ოქმი.

[12] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 19, პუნქტი 1.

[13] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 19 მუხლი, პუნქტი 3.

[14] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 19, პუნქტი 2.

[15] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 5 ივლისის № 2/3/1279 გადაწყვეტილება საქმეზე „ლევან ალაფიშვილი და „კს ალაფიშვილი და ყავლაშვილი - საქართველოს ადვოკატთა ჯგუფი“ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-7.

[16] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის № 1/2/411 გადაწყვეტილება შპს „რუსენერგოსერვისი“, შპს „პატარა კახი“, სს „გორგოტა“, გივი აბალაკის ინდივიდუალური საწარმო „ფერმერი“ და შპს „ენერგია“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ, II-26.

[17] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმი N1, მუხლი 1.

[18] Fu Quan, s.r.o v the Czech Republic, № 24827/14 (para 164).

[19] Gration Treyd,Tov v. Ukraine (9166/14).

[20] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 6, ნაწილი 1.

[21] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 81, ნაწილი 1, პუნქტი „ა“.

[22] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 279, ნაწილი 1.

[23] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 278, ნაწილი 1 და 2.

[24] ადვოკატ ხ[redacted] ხ[redacted] 2025 წლის 23 ივნისის განცხადება.

[25] ადვოკატ ხ[redacted] ხ[redacted] განცხადების თანახმად, 2024 წლის 8 ნოემბერს, საგამოძიებო ორგანოს განაჩენი უკვე მიღებული ჰქონდა.